დანართი №1

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ კრიტერიუმები

1. ზოგიერთი ცნების განმარტება

ა) ხელმისაწვდომი საცხოვრისი - იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა მრავალსართულიან კორპუსში ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, რომელსაც ქ. ბათუმის მერია გადასცემს შერჩეულ ოჯახებს, 15 წლის განმავლობაში ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის და ბინის საბოლოო გამოსყიდვის უფლებით;

ბ) აპლიკანტი ოჯახი – უფლებამოსილი პირი, მისი მეუღლე და მშობლებთან მუდმივად მცხოვრები შვილი/შვილები (მათი მეუღლეები) ან უფლებამოსილი პირის მშობლები და ბებია/ბაბუები, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, სხვა ოჯახისგან განცალკევებულ ფართზე.

შენიშვნა: ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

- პირ(ებ)ი, რომელიც ოჯახთან ერთად ფაქტობრივად არ ცხოვრობს დასაქმების ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო, გარდა იმ პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვა რეგიონში ან უცხოეთში და მათი დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ირიცხება აპლიკანტი ოჯახის რომელიმე წევრის საბანკო ანგარიშზე;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი, გარდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული (5 წლამდე თვისუფლება აღკვეთილი) პირისა;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტი ხნით მყოფი პირი, გარდა იმ პირისა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად;
- სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი.

გ) აპლიკანტი ოჯახის უფლებამოსილი პირი - ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის დანარჩენი წევრები მიანიჭებენ უფლებამოსილებას წარმოადგინოს ოჯახი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან (პროგრამაში ჩართულ სხვა უფლებამოსილ ორგანიზაციასთან/პირთან) ურთიერთობაში ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობასთან დაკავშირებით;

დ) სტაბილური სამუშაო – დასაქმების ადგილი, საიდანაც პირი გარანტირებულად იღებს ფულად შემოსავალს, ხელფასის ან გამომუშავების სახით;

ე) ძირითადი სამუშაო – სამუშაო, რომელიც სტაბილურია, ხოლო რამდენიმე სტაბილური სამუშაოს არსებობის შემთხვევაში - ის, საიდანაც უფრო მეტი ანაზღაურება მიიღება;

ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება (ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია) მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული საცხოვრებელი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;

ზ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა;

2. შერჩევის კრიტერიუმები

1. ხელმისაწვდომი საცხოვრისის აპლიკანტი ოჯახები ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ოჯახის წევრების მოქალაქეობა;

ბ) ოჯახის წევრების რეგისტრაცია ბათუმში;

გ) ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის (ბინა/სახლი) სტატუსი - ბინა/სახლი საკუთრებაში აქვს, ბინას/სახლს ქირაობს, ბინას/სახლს გირაობს, ცხოვრობს სხვა პირის (ნათესავის, არანათესავის,

სახელმწიფოს) მიერ უსასყიდლოდ დათმობილ ბინაში/სახლში, ცხოვრობს არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართში;
დ) ოჯახის სხვა უძრავი ქონება - არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ფლობა; კომერციული ფართის ფლობა;
ე) ოჯახის ზომა (სულადობა);
ვ) ოჯახის წევრების დასაქმების სტატუსი/სამუშაოს სტაბილურობა;
ზ) ოჯახის შემოსავლები და შემოსავლის წყაროები;
თ) ოჯახის (მისი წევრების) საბანკო ვალდებულებები;
ი) ოჯახის წევრების სპეციალური სტატუსი - მრავალშვილიანი ოჯახი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ოჯახში, ახალდაქორწინებული წყვილი, მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანი და სხვა;
კ) საცხოვრებელი ბინის/სახლის მდგომარეობა;
ლ) სუბიექტური ლოიალობა პროგრამის მოთხოვნების მიმართ;

2. პროგრამით სარგებლობის მინიმალური მოთხოვნები (თუ აპლიკანტი ოჯახი რომელიმე ერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მისთვის ბინის გადაცემის შანსი ნულდება):
ა) ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
ბ) ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრს მაინც უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ბათუმში, სულ მცირე ერთი წელი მაინც;
გ) ოჯახი არ უნდა ცხოვრობდეს ოჯახის უფლებამოსილი პირის ბებია–ბაბუის /მშობლის/ შვილის/შვილიშვილის კუთვნილ ბინაში/სახლში;
დ) ოჯახს საკუთრებაში არ უნდა გააჩნდეს საცხოვრებლად ვარგისი ბინა/სახლი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი (რომლის ფართობი აღემატება 10 კვადრატულ მეტრს);
ე) ოჯახი არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველთა (მოწყვლადი) ჯგუფს, რომელთა მიმართაც სახელმწიფო იღებს ძირითადი დონორის ვალდებულებას;
ვ) ოჯახის ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს სტაბილური სამუშაო;
ზ) ოჯახი, რომელიც ბინას გირაობს, გირაო არ უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისის საერთო ღირებულების ნახევარზე მეტს;
თ) ოჯახის შემოსავალი უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის მინიმუმ ორმაგ ოდენობას;
ი) ოჯახის საერთო შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 1 სულიანი ოჯახებისთვის 1200 ლარს, 2 სულიანისთვის - 1800 ლარს, 3 სულიანისთვის - 2400 ლარს, ხოლო 4 და მეტ სულიანისთვის - 3000 ლარს.

3. ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის „იდეალური ტიპი“:

- ოჯახის ერთი წევრის რეგისტრაცია ქ. ბათუმში 25 და მეტი წლის განმავლობაში;
- სპეციალური სტატუსის მქონე შემდეგი პირების არსებობა ოჯახში: შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა, ახალდაქორწინებული, ომის ვეტერანი;
- ოჯახში სტაბილურად ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე წევრების ყოფნა, როდესაც სტაბილური სამუშაო გრძელდება ორი და მეტი წლის განმავლობაში;
- ხელმისაწვდომი საცხოვრისის ყოველთვიური შენატანის მინიმუმისა და დადგენილი მაქსიმუმის საშუალო არითმეტიკულის ტოლფასი შემოსავალი ოჯახისთვის;
- ოჯახის მიერ საკუთარი ბიუჯეტიდან კომუნალური გადასახადების გადახდა;

- ქირით მცხოვრები ოჯახებისათვის, ქირის ოდენობა ხელმისაწვდომი საცხოვრისის ყოველთვიურ შენატანთან მიახლოვებული ფასით და ქირის გადახდა შეფერხებების გარეშე;
- ოჯახი ცხოვრობს საცხოვრებელ სახლში, რომელიც დაზიანებულია.

4. ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის ადეკვატურ კანდიდატად ჩაითვლება ბათუმში დამკვიდრებული მრავალსულიანი ოჯახი, რომელსაც აქვს ძლიერი საჭიროება, თუმცა არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი (არც სხვა უძრავი ქონება - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი), მისი წევრების სტაბილური სამსახურის შესაბამისად, სტაბილური, თუმცა საშუალო შემოსავლის წყალობით ზომიერ ფასად შეუძლია იქირაოს საცხოვრებელი, შეუფერხებლად გადაიხადოს ქირა და კომუნალური (ან სხვა) გადასახადები, არ გააჩნია საბანკო დავალიანება და ოჯახში ჰყავს სპეციალური სტატუსის მქონე პირი/პირები (შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, ახალდაქორწინებული, ომის ვეტერანი და სხვა). ამასთან, ოჯახისთვის მისაღებია „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ გათვალისწინებული პირობები.